

כָּתָבָה בְּזִבְחָתָן

ისტორიით პოლიტიკა კეთდება. მართალია, ეს აზრი არახალია, ისტორიას პოლიტიკის ინტერესებში გამოყენება ისეთივე ძევლია, როგორც თვითონ ისტორიოგრაფია ან თანამედროვე ისტორიული მეცნიერება. მიუხედავად ამისა, მაინც ყოველთვის გვაკვირვებს ისტორიის პოლიტიკის სამსახურში ჩაყენებისა და ბოროტად გამოყენების სიხშირე.

ისტორიის ერთ-ერთი მამამთავარი, რომაელი ისტორიკოსი ტაციტესი ჰერ კიდევ 2000 წლის წინ მოითხოვდა ისტორიული მეცნიერების მიუკრძოებლობას. ისტორია უნდა მოთხოვობილიყო „სიძულვილის და მიკრძოების“ (ანალები) ან „მადლიერების და პატივმოყვარეობის“ (აგრიკოლა) გარეშე. ტაციტესი თვლიდა, რომ ისტორიკოსს არ შეიძლებოდა ელაპარაკა „ვინმეს შესახებ კეთილგანწყობით ან სიძულვილით“. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ისტორიის წერა შეიძლებოდა „მიუკრძოებლად“. მაგრამ ტაციტესის შრომები გვიჩვენებს, რომ ის თვითონვე ვერ აკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნებს და ხშირად რომელიმე თავის გმირს მიემზრობოდა ხოლმე.

ამ ფონზე ღირსშესანიშნავია, როდესაც ქართველი ისტორიკოსები, სოციოლოგები და პოლიტოლოგები იწყებენ იმ ისტორიულ ფიგურის გამოკვლევას, რომელმაც არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ისტორიას დაამჩნია კვალი, არამედ, მართლაც რომ „მსოფლიო ისტორიასაც“ წერდა. ქართველებისთვის განსაკუთრებით დიდი გამოწვევაა ისახებ სტალინზე და მის პოლიტიკაზე წერა. ივეტა გოგავას მოჰყავს ამ კრებულში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რამდენიმე წლისწინანდელი სიტყვები სტალინის შესახებ. ილია II ბოლშევიკების ბელადში პირველ რიგში თანამემამულეს ხედავდა, რომელიც ქართულად ლაპარაკობდა და ქართულ სიმღერებს მღეროდა. როგორც ბევრი სხვა ადამიანს მაშინდელ საბჭოთა კავშირში, სასულიერო სემინარის მაშინდელ სტუდენტებს უტირია სტალინის გარდაკავალების დღის.

რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რომ სტალინი და საბჭოთა სისტემა, რომელსაც ის განა-
სახიერებდა, სრულიად სხვა საზომითაა შესაფასებელი, ვიდრე მხოლოდ მისი „ქართვე-
ლობაა“. ისტორიული ფიგურის კრიტიკული განხილვა ქართველ ისტორიკოსების სულ
უფრო მნიშვნელოვანი ხდება. სულ უფრო ხშირად სვამენ შეკითხვას, რა კვალი დატო-
ვა ამ დრომ ქართველებში და მათი, როგორც მრავალსაუკუნოვანი კულტურის და ის-
ტორიის მქონე დამოუკიდებელი ქვეყნის მკვიდრთა თვითშეგნებაში. თვითონ სტალინს
თავი საბჭოთა კავშირის უზენაეს წარმომადგენლად მიაჩნდა. ისევე, როგორც სხვა საბ-
ჭოთა რესპუბლიკები, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ცდილობენ
გასაძიროების ჩრდილიდან გამოსვლას. ცენტრალური ევროპიდან ჩამოსული მოგზაურის
თვალით, დღევანდელ თბილისში ძველი საბჭოებიდან ბევრი არა შემორჩენილა რა.
შესაძლოა, ქართველებიც იმ საბჭოთა მოქალაქეების რიცხვში იყვნენ, ვინც საკუთარი
კულტურის შენარჩუნება ყველაზე თანმიმდევრულად შეძლეს. მიუხედავად ამისა, ბოლო-
შევიკების ბატონობის პერიოდის ყველა მოსაზრებაში სტალინის სახელი სულ უფრო
მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმისგან დამოუკიდებლად, ხდება თუ არა ის უშუალო
განხილვის საგანი. საქართველოს ისტორიულ მექანიზებას გამუდმებით უწევს მის აჩრ-

დილთან ბრძოლა. მაგრამ შეიძლება კი სტალინის პიროვნებაზე წერა, როგორც ამას მოითხოვდა ტაციტუსი, „სიძულვილისა და მიკერძოების“ გარეშე?

წინამდებარე კრებულში სერიიდან „ისტორიის რეკონსტრუქციები“ ხშირად შეხვდებით მსჯელობას საქართველოს ისტორიის „ტრავმაზე“. კონრად ადენაუერის ფონდს საშუალება ჰქონდა მხარი დაეჭირა ამ ღირსშესანიშნავი კრებულისათვის. ამ კრებულით ვაგრძელებთ თანამშრომლობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და მოხარულნი ვართ სახელმოხვეჭილ მეცნიერთა ნდობით, რომლებმაც ამ კრებულში მიიღეს მონაწილეობა.

დოქტორი თომას შრაპელი